წელიწადი მე-2-ე

# სამშობლო

№ 355

შაბათი, 14 მაისი

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

**ტელეფონი № 76**

**გაზ. „სამშობლოს რედაქცია** მწუხარებით აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ გერმანიაში გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე ცნობილი პუბლიცისტი

## ლადო დარჩიაშვილი.

კვირას, 15 მაისს, მთავარანგელოზის ეკლესიაში ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

შაბათს, 14 მაისს, ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გადაცვალებულის

### იოსებ პაატას ძის კოსტავასი,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ მწუხარებასა შინა მყოფი ქვრივი მისი **ბარბალე ოქროპირის**

169 **ასული კოსტავასი.** 1—1

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 12 მაისიდან ახალი პროგრამა.

**საჰაერო დაზვერვა.** სურათი გადაღებულია ბუნებიდან ფრანგთა კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

**დანაშაულობიდან დანაშაულისაკენ.**

...რული კომედია 3 ნაწილად ცნობილ მსახიობ: ვ. კარალისა და მისი მამის ა. ნ. კარალიტორცევის მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 16 მაისიდან ახალი პროგრამა.

**...თხუთმეტა მეგობრები,** ბუნებიდან გადაღებული საფრანგეთის კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

**...თხოვარი ქალი. ღვთის გულისთვის მიეცით მას მოწყალება.** დრამა 4 ნაწილად ცნობილ არტ. ლისენკოსა და მოზჟუხინის მონაწილეობით.

## ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 12 მაისიდან, მხოლოდ მოზრდილთავის ნაჩვენები იქნება

## საჰაერო დაზვერვა.

...რათი გადაღებულია ბუნებიდან ფრანგთა კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

## ქალიშვილი ხალით.

...იერი ფარსი 4 ნაწილად, დადგმულია ურალსკის მიერ, ჩიტორინის, გედიკე ნიკოლსკის და სხვათა მონაწილეობით. დეკორაცია მხატვარი ა ა. გრეზინის.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 16 მაისიდან ახალი პროგრამა

### ოთხმეტა მეგობრები

### სისხლში მოსვრილი ყვავილი.

...ამა 5 ნაწ. სატახტო ქალაქის არისტოკრ. ცხოვრებიდან ცნობილ არტისტების ჩერნოვისა, მიჩურინისა და ტურჟანსკის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“; ლოჟა 85 კაპ, 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., რაჯის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

**ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის**

## ჭრა-კერვასი

### კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე, პირობების გაგება შეიძლება: ფრანგების ქუჩის შესახვევშისახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალიხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ კვირა უქმეობით დილის 10 საათ. საღამ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამასწავლებლო ატესტატი მიიღოს.

156 ეგზამენის დაჭერა მოხდება ექსპერტების თანადასწრებით.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. ...8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 14 46, ტელეფონი № 87 თ

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან)

**პეტროგრადი.** 7 მაისი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. კუნძულ ლაპენის სამხრეთ, დასავლ მიდამოებში გერმანელები შეეცადნენ იერიში მოეტანათ რუსის თხრილებზე, მაგრამ დიდის ზარალით უკუ აგდეს. ბაშლიკის მიდამოებში, ოლიკის ჩრდილოეთით რუსის მზვერავებზე იერიში მოიტანეს ავსტრიელებმა, მაგრამ რუსებმა კონტრიერიშით და ხელის ყუმბარებით განდევნეს მტერი. სხვა ადგილებში, რიგიდან რუმინეთის საზღვრებამდე, არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.** ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

**პარიზი,** 10 მაისი. დღის ოფიციალი. მაასის ორივ ნაპირზე ვერდენის მიდამოებში მთელი ღამის განმავლობაში მკაცრი ბრძოლაა. მარცხენა ნაპირზე „304 მაღლობთან მტერმა ორი ძლიერი იერიში მოიტანა, მაგრამ უშედეგოთ ჩაიარა. „304“ მაღლობის დასავლეთით გერმანელებმა მანქანები იხმარეს, რომელიც ცეცხლს ისროდა. ამან მტერს საშუალება მისცა შეჭრილიყო ფრანგთა თხრილებში, მაგრამ მალე განდევნეს აქედან. აღმოსავლეთით მტრის იერიში ცეცხლით მოვიგერიეთ. ამ ადგილებში გერმანელებმა ვერ შესძლეს ჩვენს თხრილებთან მოახლოვება. ტიომონ დუომონის ახლო-მახლო ბრძოლას სასტიკი ხასიათი ეძლევა. მთელი ღამის განმავლობაში მტერს უშედეგო იერიშები მოჰქონდა.

გერმანელებმა ხელთ იგდეს ერთი თხრილი, რომელიც ამას წინად დაჰკარგეს. ფ. დუომონის შუა ადგილები ისევ ჩვენს ხელშია.

მიუხედავათ სასტიკი წინაამდეგობისა, ფრანგები მტერს უკან ახევინებენ. გერმანელებს მხოლოდ მაასის მაღლობების ჩრდილო-აღმოსავლეთი უჭირავთ. დე-შევალეს ტყესთან ფრანგებმა მოულოდნელი იერიში მიიტანეს მტერზე და მიზანს მიაღწიეს. სხვა ადგილებში სიმშვიდეა.

**პარიზი,** 10 მაისი. საღამოს ოფიციალი- ვერდენის მიდამოებში გერმანელების იერიშებმა მკაცრი ხასიათი მიიღო. მაასის მარცხენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელები იერიშით წამოვიდენ მორტჰომის აღმოსავლეთით და დასავლეთით, მტრის პირველი ნაწილი ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა, ხოლო მეორემ დასავლეთით ჩვენი თხრილები დაიჭირა, მცირე ხნის შემდეგ კონტრიერიშით მტერი სრულიად გავდენეთ. ოდრემონ-დუომონის მიდამოებში მთელი საშინელი სისხლის ღვრა იყო. საარტილერიო ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა იერიში გაამრავლეს. მიუხედავად საშინელი იერიშისა, დუომონის ფორტში სანგრები შევინარჩუნეთ. ამ მიდამოებში დავატყვევეთ 300-მდე კაცი. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ზარბაზნების ჩვეულებრივი სროლაა; ფიურნის მიდამოებში გერმანელების მფრინავი ჩამოვაგდეთ. ბონომისჯახლოს, მტრის ხაზზე, ჩამოვარდა ჩვენი მფრინავი „ავიატიკი“. ლენჟის მიდამოებში ჩვენმა მფრინავმა ჩამოაგდო მტრის ერთი მფრინავი, ხოლო ორი განდევნა

**პარიზი,** 10 მაისი ოფიციალი ცნობა რამსკაპელეს აღმოსავლეთით სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა. მტრის თხრილებს ზარბაზნებს ვუშენთ.

**პარიზი,** 11 მაისი. ოფიციალი. დღის 1 საათი. შამპანში, მხრჩოლავი ბოლის შემწეობით მტერი შეეცადა ნაკარენის დასავლეთით წინ წამოწევას, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ თავიანთ თხრილებში დააბრუნა. მაასის მარცხენა ნაპირზედ მორტჰომის აღმოსავლეთით მტერი იერიშით წამოვიდა სოფ. კიუმერისკენ. დასავლეთით თხრილები ხელთ იგდო უკანასკნელად მოსული ცნობით, მორტჰომის მიდამოებში 8 მაისიდან სამ დივიზიაზედ მეტი მოქმედობდა. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო მზადების შემდეგ საშინელი იერიშით, მტერი ოდრემონისდდუომონის მიდამოებში, წამოვიდა. თავგანწირული ბრძოლის შემდეგ დუომონის ფორტის დასავლეთით ხელთ იგდო თხრილები. ვევრში ექს მულენვილის სექტორს მტერი ყუმბარებს უშენდა.

**ლონდონი,** 10 მაისი. ინგლისის ოფიციალი. გუშინ ღამით და დღეს ვიმის არე-მარეში დიდი საარტილერიო ბრძოლაა. მტრის არტელიერიამ დიდი მხნეობა გამოიჩინა კოოხეს და რულერის ლიანდაგ შუა. საარტილერიო და სანაღმოსნო ბრძოლა სხვა ადგილებშიაც მოხდა. გუშინ, მტრის მფრინავებმა დიდი მხნეობა გამოიჩინეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბრიუსელში გერმანელებმა დაატუსაღეს ბელგიელ ებრაელთა რაბინი ბლოხი. დატუსაღების მიზეზი შემდეგი ყოფილა: სინაღოღაში რაბინს ბელგიის მალე განთავისუფლებლად ულოცავს და ბელგიის ახლანდელი მდგომარეობა შეუდარებია ებრაელთა მდგომარეობისთვის, როდესაც ისინი ეგვიპტიდან გამოვიდენ. შემდეგ ამისა, ბლოხი უფალს შევედრებია, რომ ბრიუსელმა მალე იხილოს თავის საყვარელი მეფე ალბერტი და სხვა. რაბინ ბლოხის ძმა გერმანელებმა მოჰკლეს საფრანგეთის ასპარეზზე.

——

ბელგიის ფრონტზე ინგლისის ახალშენების ჯარი გამოჩნდა. ახალშენის ჯარი საუკეთესოდ შეიარაღებული ყოფილა და მედგრათაც იბრძვის თურმე.

——

გერმანია-ამერიკის შორის დამოკიდებულების გამწვავება საშიშროებას აღარწარმოადგენს. ორივე სახელმწიფო სხვადასხვა კომპრომისით მორიგდენ.

——

ავსტრია გერმანიის სარდლების მოთხოვნით ბულგარეთში მდგომი ავსტრიელთა 8 დივიზია სოლუნისკენ იქნა გადაყვანილი. სალონიკთან მოსალოდნელ იერიშებს ბრძოლის პირველ ხაზებზე მხოლოდ ბულგარეთის ჯარი უნდა შეებრძოლოს. ბალკანეთზე მომქმედ ჯარებს გერმანელი და ავსტრიელი გენერლები ხელმძღვანელობენ!.

——

რუმინიას გერმანია კიდევ ახალ სესხს დაპირდა. გერმანოფილები გახარებული არიან, რომ რუმინია უთუოდ გერმანიას მიემხრობა.

——

პანეკენის მიმართულებით ოსმალნი ახალი ჯარების თავის მოყრას განაგრძობენ. ეს ჯარი წინად კუტიელ. ამარასთან იბრძოდა. ოსმალებმა უკან დახევა შეაჩერეს და შეტევაზე გადადიან.

——

თანახმად სტამბოლის მთავრობის ბრძანებისა, კავკასიის წინააღმდეგ მომქმედ ოსმალოს ჯარს, რომელიც ურმიის ტბის მახლობლად იმყოფებოდა, სარდლობას გაუწევს ცნობილი სპარსელი რევოლიუციონერი ნიზამე სალთანე.

——

ოსმალეთთან სეპარატიულ ზავის ჩამოგდების შესახებ მილიუკოვს უთქვამს ტულუზელ კორესპონდენტისთვის, რომ ეს ოცნებაა, ვინაიდან ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს უსათუოდ ავიღოთ სტამბოლი და სრუტეები.

——

ენვერ-ფაშას იმპერატორ ვილჰელმისთვის დეპეშით უთხოვნია. საჩქაროდ ახალი ძალების მიშველება კავკასიისასპარეზზე, რუსთა ჯარის წინსვლის შესაჩერებლად.

——

მონასტირში მაკენზენს მოელიან, რომელიც მოსალოდნელ შეტევებისთვის გეგმას შეადგენს.

——

დვინის ფრონტზე გერმანელებმა წინანდელი მძაფრი იერიშები შესწყვიტეს. ცხარე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება ილუქსტთან. ილუქსტი ძლიერ დაზიანებულია. მცხოვრებთაგან აქ არც ერთი კაცი არ დარჩენილა.

——

რიგის ფრონტზე წასულ კვირაში გერმანელები ალაგ ალაგ უტევდენ.

——

რიგის ფრონტზე არტილერია მოქმედებს. ლიბავის თავზე განუწყვეტლივ დაფრინავენ ჰაეროპლანები და ყუმბარებს ჰყრიან.

——

——

ვენეციის თავზე ავსტრიელების ჰაეროპლანები დაფრინავენ.

——

მოლდავაში დიდი წყალდიდობა ყოფილა. წალეკილია ნათესობა და ბევრი შენობა.

——

ვენიზელოსი საბერძნეთის გერმანოფილებს სამართალში მიუციათ.

——

სტამბოლში სანოვაგის დიდი კრიზისია. ამიტომ რუმინიაში საჩქაროდ გაიგზავნა სასურსათო კომისიის დირექტორი სელიმბეი, რომელმაც ოსმალეთ რუმინიის შორის უკანასკნელ ხელშეკრულების ძალით რუმინიიდან ხორბალი უნდა შემოზიდოს.

——

შვეციიდან ხეტყის გაზიდვა აკრძალეს.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, 12½— საათ. საღ. 6—8 საათ. **მისამართი:** ლვვაშოვი ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, 11 სახლი № 2. თ.

**ექიმი მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

**ამზადებს**

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძასა. თ.

**ჩამოსული რუსი სტუდენტი**

უკანასკნელი კურსის (8 წლის პრაქტიკით) **იძლევა გაკვეთილს,** ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყოველ კლასში, აფთიაქის მოწაფეთ, „ვოლნოოპრედელიაიუშჩის“ პირველ და მეორე ხარისხზე, პირველდაწყებით სკოლის მასწავლებლათ და სხვადასხვა სასწავლებელში შესასვლელათ.

თანახმაა აგარაკზე გაკვეთილი აიღოს. მისამართი: დადიანის ქუჩა სახლი 6. სტ. ალ. კობიალკო.

# ომის დღიური.

ბრძოლის ველზე მთავარი ყურადღება ისევ **ვერდენს** ექცევა. აქ გერმანელები განაგრძობენ გაფთრებულ იერიშების წარმოებას. უკანასკნელ დღის ცნობით, გერმანელებს ფრანგებისთვის უკან დაეხევინებიათ „314“ მაღლობის მიდამოებში და მის კალთებს დაუფლებიან. თავის მხრივ ფრანგებიც არაჩვეულებრივ თავდასაცავ ბრძოლას აწარმოებენ და ხანდახან კონტრიერიშებზედაც კი გადადიან. ფრანგების ჯარის ასეთი გულადობა ნაპოლეონის შემდეგ არავის ახსოვს. . ვერდენის მიდამოები საშინელ სურათს წარმოადგენს. რადგანაც ვერდენთან ასეთი უკიდურესი შეტევები დაიწყეს გერმანელებმა, ფრანგები იძულებული არიან დროებით უყურადღებოთ დასტოვონ ბალკანეთის ასპარეზი. ვერდენთან ბრძოლის გაჩაღება, რასაკვირველია, გავლენას იქონიებს აზიის ასპარეზზეც.

**რუსეთისა და კავკასიის** ასპარეზზე დიდი ცვლილება არ მომხდარა.

**იტალიის ასპარეზზე** ავსტრიელები იერიშებს განაგრძობენ სუგანის მიმართულებით.

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

ქალაქის მოურავი ბ-ნი ი. მ. ჩიქოვანი უკვე დაბრუნდა თბილისიდან და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

✦ ქალაქის საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ხსენებული საავადმყოფოს აპრილის თვის ხარჯთაღრიცხვა. ამ თვის განმავლობაში საავადმყოფოს ჰქონია შემოსავალი 4789 მან. და 74 კაპ. გასავალი კი, 4784 მან. და 84 კაპ. მაისის პირველ რიცხვებში ყოფილა 12 ავადმყოფი.

✦ როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული, გუბერნატორმა წინადადება მისცა ყველა ქალაქის თვითმართველობის შემადგენლობას დაწყებული 1898 წ. დღემდის წარედგინათ განმარტება თუ, რატომ დაიხარჯა უკანონოთ რამდენიმე ათასი მანეთი ქალაქის სათადარიგო თანხიდან და გუშინ ქალაქის გამგეობამ წარუდგინა ყოფილა ქალაქის გამგეობის წევრათ ნამყოფს გრიგოლ გველესიანის ახსნა განმარტება.

✦ ქუთაისში საგუბერნიო სანოვაგის განმანაწილებელ კომიტეტს გუბერნიის მცხოვრებთათვის 3 ვაგონი სიმინდი მოუვიდა, ამ მოკლე ხანში კიდევ მოელიან 200 ვაგონს.

✦ გუშინ ქალაქის გამგეობას წარუდგენ დ. ონის (რაჭ. მაზ). მცხოვრებთა წარმომადგენელნი და სთხოვეს, რომ ქალაქიდან გაიტანონ 100 ტომარი პურის ფქვილი.

ამასთანავე არწმუნებდენ გამგეობას, რომ მცხოვრები დიდ გაჭირვებაში იმყოფებიანო ქალაქის გამგეობამ დააკმაყოფილა მათი თხოვნა და გადასწყვიტა მიეცეს მათ ნება გაიტანონ მხოლოდ 50 ტომარი პურის ფქვილი.

✦ გუშინ სოფლებიდან ქუთაისში დიდძალი ბალი შემოიტანეს. ფუთი 2 მან. 1 მ. 50 კაპ. ფასობდა.

✦ ორშაბათს, 16 მაისს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს კრება.

✦ ქუთაისის სახაზინო პალატა სთხოვს ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს სადგურამდის ასქონლის გადასაზიდი ნიხრი.

✦ კვირას, 15 მაისს, არქიელის გორაზე დანიშნულია ადგილობრივ კოოპერაციის განყოფილების დასაარსებლათ კრება.

✦ თანახმათ მოსკოვის ქალაქის თვითმართველობის სტატისტიკური განყოფილების თხოვნისა ქუთ. ქალაქის გამგეობამ გუშინ გაუგზავნა აპრილის თვის განმავლობაში ქალაქში სანოვაგეზე არსებული ნიხრი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა გრაფმა გუდოვიჩმა შემდეგი შინაარსის დეპეში გააგზავნა თბილისში სანოვაგის მომწყობ კომიტეტის რწმუნებულის სახელზე „რადგანაც რაჭის მაზრაში სრულიად გამოილია სიმინდი და პურის ფქვილი, გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ, რომ დ. როსტოვიდან პარამანოვის წისქვილებიდან რიგს გარეშე მისცეთ ორი ვაგონი ფქვილისათვის და 6 ვაგ. სიმინდისათვის კი სად. დარკოხიდან. ხსენებული ვაგონები უნდა მიიტანონ საჩხერის სადგურზე ძმ. ბერუჩაშვილების სახელზე“. აგრეთვე დეპეშით სთხოვს—დააჩქარონ ორი ვაგონი ფქვილის მიტანა სად. ვარინკადან სად. ქუთაისში მარდახა კაკიტელაშვილის სახელზე.

✦ თანახმათ პრინც ოლდენბურგის ცირკულიარისა, კავკასიის მეფის ნაცვალი ატყობინებს ყველა გუბერნატორსა და ოლქის უფროსებს, რომ თავისი მხრით გამოუცხადოს ქალაქის თვითმართველობებს და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოებს, რომ მათ დაუთმონ ბოსტნეულობის გასაშენებლათ თავისუფალი მათი კუთვნილი ადგილი ას საჟენამდის თითო პირს, რადგანაც ეს ძლიერ გააიაფებს მწვანილეულობასო.

✦ შორაპნის მაზრის უფროსი ატყობინებს, გუბერნატორს რომ მისდამი რწმუნებულ მაზრაში მაისის თვის განმავლობაში კავკასიის სასურსათო სანოვაგის მომწყობ რწმუნებულის საშვალებით შაქრის გამოწერა არ არის საჭირო, მხოლოდ საჭირო არის ზღვით ერთი ვაგონი შაქრის მოტანა ოდესიდან—ფოთში და შემდეგ რკინის გზით ზესტაფონში.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლათ 4 აპრილის საბჭოს სხდომის ოქმი.

✦ მთავრობამ განკარგულება დაუგზავნა ყველა სახელმწიფო სამმართველოების მართველებს, შეადგინონ თავიანთ მოხელეთა სტატისტიკა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ჯამაგირების მომატების შესახებ.

✦ ქუთაისის კლასიკური გიმნაზია წელს დაასრულა შემდეგმა პირებმა ძირითადი კლასის: დავით ასათიანმა, გარეგინ ამილახვარმა, ნიკოლოზ ბულგაკოვმა ნიკოლოზ ვიუნიკოვმა, ბორის გაგუამ, მიხეილ (მიშა) გვამიჩავამ, ნიკოლოზ დევიძემ, შალვა დოლაბერიძემ, სერგო ჯანაშიამ, დავით მაჭავარიანმა, გრიგოლ მახათაძემ, იპოლიტე ნარსიამ, არამი პოპოიანცმა, კონსტანტინე პურადაშვილმა, სერგო სულაქველიძემ, პალადი სუპატაშვილმა, ვლადიმერ ტყეშელაშვილმა, დავით წულუკიძემ, გიორგი ჩიქოვანმა, შალვა იაკობაშვილმა და იოსებ კლიონსკიმ. რეალური განყოფილება: იოსებ ანშიოუეიჩმა, ალექსანდრე ბაზაძემ, სტეფანე ბერუჩემა, გიორგი გორდაძემ, გიორგი დეკანოსიძემ, ალექსანდრე ერქომაიშვილმა, შორის კალეუხოვმა ნიკოლოზ კაპანაძემ რაჟდენ ქიბულაძემ, პეტრე ქიქოძემ, ნიკოლოზ მიქაბერიძემ, გიორგი მიქაძემ, ნიკოლოზ ფერაძემ, გიორგი რომანოვსკიმ, ნიკოლოზ სანოძემ, ანდრია სემიონოვმა სერგო თევზაძემ, ტარასი შავგულიძემ და პავლე შარაშიძემ.

✦ **გადამდები სნეულებანი.** 30 აპრილს ქუთაისის გუბერნიაში გადამდები სნეულებით შემდეგი რიცხვი იყო ავადმყოფებისა: ქალაქ ქუთაისში: მუცელათი—15; ყვანათი—6; ყვავილით—1; ქ. ფოთი: შავი სახადით 1—ყვავილით—1 ქუთ. მაზრაში: შავი სახადით—3 შორაპნის მაზრაში მუცელათი—6; ყვავილით—2 და და ყელის ავად. 1—ოზურგეთის მაზრაში მუცელათი—4; ყვანათი—3; კისერათი 2; რაჭის მაზრაში მუცელათი—7 და კისერათი—2. ლეჩხუმის მაზრაში მუცელათი—5; სენაკის მაზრაში მუცელათი—25; ყვავილით—6; და კისერათი—5; ზუგდიდის მაზრაში მუცელათი—2; ყვავილით—6; ყელის ავადმყოფობით—4; და კისერათი 1;

**დაჯარიმება.** ქუთაისის გუბერნატორმა იარაღის ნება დაურთველად ტარებისათვის დააჯარიმა ს. ხეთის (ზუგ. მაზ). მცხ. ძუკუ პიპია 15 მან. ან ერთი კვირით ციხეში დატუსაღებით (შორ მაზრა) ს. მოლითის მცხ. გიორგი გუდაძე შაქრის ნიხრზე ზევით გაყიდვისათვის 10 მან. ან სამი დღის დატუსაღებით და ქ. ფოთის ვაჭრები ივანე ჭულუხაძე და ანტონ ბოლოშვილი 29 მუხ. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის 25 მან. ან ერთი კვირის ციხეში დატუსაღებით.

✦ ქუთ. გუბერნატორმა ჯარიმისაგან განათავისუფლა ქ. ფოთის ვაჭარი ვანო ფანცულაია. იგი ხორცის მეტ ფასში გაყიდვისათვის დაჯარიმებული იყო 25 მან.

✦ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა დაარსონ მომხმარებელი საზოგადოებები შემდეგმა სოფლის მცხოვრებლებმა: ამბროლაურის საზ. (რაჭ. მაზ). „პროგრესი“ ს ქვალონის (ზუგ. მაზ). „შრომა“ ს. სვირი (ქუთ მაზ.) „განათლება“ და ქ. ოზურგეთის „გურიის მებაღეთა ამხანაგობა“.

✦ ორშაბათს, 16 მაისს, ქუთ. გუბერნატორის გრაფ გუდოვიჩის თავმჯდომარეობით შესდგება საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულოს წევრთა სხდომა, გასარჩევია შემდეგი საკითხები:

ა) ქუთაისის ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომელიც შეეხება სავალდებულო დადგენილების შეცვლას.

ბ) ქ. ოზურგეთის რწმუნებულთა დადგენილება, რომ ქალაქის ხარჯთ ამკრეფს მიემატოს ჯილდოთ პროცენტები, პროექტი, რომელიც შეეხება ქ. ოზურგეთის მოხელეთა და ნოქართა ნორმალურ დასვენებას და საჩივარი ქ. ფოთის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის სენატის სახელზე სამოქალაქო საკრებულოს 2 ნოემბრის 1915 წ. უკანონო დადგენილებაზე.

---

### მოწყალი ამბავი.

ზესტაფონის რაიონი, ცხრა მაისს, სადამოს ჟამს, ცა შავი ღრუბლით შეიმოსა. ასტყდა ჰექა-ქუხილი და ამოვარდა ქარიშხალი. კოკის პირულ წვიმას საშინელი გულის შემზარავი სეტყვა მოჰყვა. მთელი თავის ძლიერება სეტყვამ ზესტაფონის რაიონში გამოიჩინა. ზემო იმერეთისათვის ბუნების ეს გამანადგურებელი მოვლენა, ხშირი სტუმარია, მაგრამ ასეთი საოცარი სიძლიერით კაი ხანია აღარ გვწვევია. საწყალი მუშა ხალხი აღტაცებით უყურებდა თავის ნაშრომ ნადავ ყანა-ვენახს, რომელსაც წელს კაი პირი უჩნდა, მაგრამ მოვლენილმა უბედურებამ ბევრგან სასოწარკვეთილებაში ჩააგდო იგი. სამი წლის ზედიზედ მოუსავლობისაგან გულ დაკოდილმა გლეხობამ არ იციან რა ჰქნან. ახალ მოსვლამდი ჯერ კიდევ სამი თვე მაინც არის და ამ ხნის განმავლობაში რა ჰქნას ხალხმა, როდესაც საყიდელ სიმინდსაც ვერ შოულობს, ფულიც რომ ჰქონდესთ. განსაკუთრებით უსიმინდობით ხარაგაულის რაიონია შეწუხებული. აქაური წვრილი კრედიტის ამხანაგობა სრულ უმოქმედობას იჩენს. მომხმარებელ საზოგადოებას დღემდის საკმაო ძალა ვერ მოუკრებია, რომ ხალხის უბედურობას გაუმკლავდეს. ამ ორი დაწესებულების თანხმობით მუშაობას კი, იმერული ყინიანობა და გამყეები [illegible] აფერხებს.

კარგი იქნება [illegible] განმანათლებლები გონს მოვიდენ და ურთიერთშორის კინკლაობას თავს დაანებებდენ.

---

# ჩვენებური საქმიანობა.

თვალი რომ გადავავლოთ ჩვენს შინაურ საქმიანობას, ვერაფერ საყურადღებო იპოვის კაცი. მართალია, საქმის დაწყებისას ყოველთვის დიდ ენერგიას გამოვიჩენთ ხოლმე, და სიტყვით ჰაერში კოშკებს ავაშენებთ, მაგრამ როცა კი პრაქტიკულ საქმიანობაზე მიდგება ჯერი, მაშინ სრულ დაუკვირვებლობასა და გამოუცდელობას ვიჩენთ. ამ ჩემის წერილით განზრახვა არ მაქვს ვისმე პირადობას შევეხო ან ვისიმე საპირადო წინააღმდეგობა მახელმძღვანელებდეს, მე მსურს მხოლოდ აღვნიშნო ის დეფექტები, რომელიც ხდება ხოლმე ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტის დროს, რომლის არასასურველ გადაწყვეტაშიც ყველას საერთოდ თანაბარი ბრალი მიგვიძღვის. თავიდან რომ ავიშოროთ აწ მაინც უხერხული მდგომარეობა, მინდა ჩემი დაკვირვება და გამოცდილება გავუზიარო მკითხველ საზოგადოებას.

მე, როგორც ქუთაისის მოქალაქეს, სხვაზე არა ნაკლებ მაინტერესებს ქალაქის ავი და კარგი და ჩემ მიერ წამოყენებული მოსაზრებებიც მხოლოდ ქალაქის საქმეებს შეეხება. შეიძლება ესა თუ ის საკითხი ისე ფართოდ ვერ გავაშუქო, მაგრამ იმედი მაინც მაქვს, რომ, თუ ჩემ მიერ წამოყენებული საკითხები ღირსშესანიშნავი იქნება, უფრო დაკვირვებულისა და მცოდნე პირების ყურადღებას მიიქცევს პრესის საშუალებით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს კი, ჩემის აზრით, სარგებლობის მეტს არას მოგვიტანს და ჩემი წერილიც თავის დანიშნულებას მიაღწევს.

როგორც ხმოსანი, სხვათა შორის, საოჯახო კომისიაში მოვხვდი. პირველ შეკრებისათანავე ძალიან კმაყოფილი დავრჩი რადგანაც ყველა ჩემი ამხანაგი დიდი ენერგიითა და სურვილით შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. პირველათვე გამოითქვა სურვილი და სიტყვა დავსდეთ ყოველ კრებას დავსწრებოდით და ჩვენი შრომით რაიმე თვალსაჩინო წარმატება მივვეცა ქალაქისათვის.

მიუხედავათ ამისა, ვერც ერთი ჩვენი სურვილი ვერ გავამართლეთ, რასაც უმთავრესად ხელი შეუშალა მსოფლიო ომმა და შემდეგ ქალაქის თვითმართველობაში გამეფებულმა უთანხმოებამ ბ. ს. ქვარიანის დროს.

ბევრის შესრულების სურვილმა და ცოტათი არ დაკმაყოფილებამ ბოლოს და ბოლოს ისე მოგვადუნა, ისე დაგვიკარგ

---

# ქართველთა დამოკიდებულება ევროპასთან.

(იხ. „სამშობლო“ № 350)

ბევრი თათბირისა და რჩევის შემდეგ მეფე ერეკლემ გადასწყვიტა აზიური მონობის ჯაჭვის გაგლეჯა და ევროპასთან დაახლოება—მიმართვა, რაც მისთვის არც ისე ადვილი იყო, რადგანაც იგი თვით სპარსეთში იყო აღზრდილი, აღმოსავლეთის ერთა პოლიტიკას კარგად იცნობდა, ხოლო ევროპიელთა შესახებ კი ბევრი არაფერი იცოდა. და რაც იცოდა ისიც კათოლიკის მისიონერებთაგან ქონდა, გაგონილი და დაურღვეველ ჭეშმარიტებად მიაჩნდა. ევროპიელთ მეფე ერეკლე ისე უყურებდა როგორც ნასწავლ და განათლებულ პირთ' მასთან საქრისტიანო სამეფოების მცხოვრებთ, რომელნიც მაღლა იდგენ მუსულმანებზე კულტურული ცხოვრებით. დღე და ღამ ერეკლე მეფეს ევროპის რუკა ედგა თვალწინ და არა აღმოსავლეთის. ერეკლემ ბევრი რამ საყურადღებო ნახა ევროპიდან შემოტანილი საქართველოში. ყველა ეს მას ულვიძებდა და უხალისებდა სურვილს ევროპასთან დაკავშირებისას თვით ჰუსეინ ყეინის წინათაც გადასწყვიტა ევროპასთან მიმართვა, დახმარების თხოვნა მათ ქვეშევრდომობაში ყოფნა და „ვალი გურჯისტანის“ სახელის თავიდამ მოცილება.

— მე მეფე ვარ საქართველოსი, ქართულის წესით ნაკურთხ-დაგვირგვინებული და არა ვალი გურჯისტანისაო, ამბობდა იგი. ამიტომაც მეფე ერეკლემ სამუდამოთ გასწყვიტა კავშირი ოსმალ-სპარსელებთან და თავის უმთავრეს საგნად და აუცილებელ საქმედ ევროპიელებთან დაახლოება დაისახა. იგი თანახმა იყო თვით ევროპიელთა მფარველობასა და გონობაშიც კი ყოფილიყო, ოღონდ მათთან დაახლოებას მტკიცე ნიადაგი ჰქონებოდა.

როგორც ზემოთაც ვახსენეთ, მეფე ერეკლემ თითქმის ერთსა და იმავე დროს მიმართა რუსეთს, ინგლისს, ავსტრიის იმპერატორს, ესპანიას, იტალიას და ვენეციის რესპუბლიკასაც, ყველას დახმარებას სთხოვდა, ნამეტურ ევროპიელთ, რომელნიც ყოველთვის პირდებოდენ და საქმე კი არა კეთდებოდა რა; ამის მიზეზი, რასაკვირველია, ყოველ თვის სიშორე და უგზოუკვლობა იყო. საქართველოს მფარველობა ბედმა ისევ ქართველთ თანამორწმუნე რუსეთს არგუნა, ისევ ამათ ისურვეს ქართველთა დახმარება, ბევრის მიწერ-მოწერისა და დესპანების გზავნის შემდეგ, დაიწერა რუსთა და ქართველთა შეერთების ტრაქტატი, ანუ პირობანი და 1782 წ. მთელი საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იქნა გამოცხადებული. ეს განცხადება ოსმალ სპარსთაც მალე შეიტყვეს, რაც მათთვის დიდათ საგრძნობი და სამწუხაროც იყო.

რუსეთის მფარველობა გახდა იმის საფუძვლად, რომ ქართლი და კახეთი 1801 წ. რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, რის გამოც მეფე გიორგიმ იმპერატორ პავლეს დესპანნიც კი გაუგზავნა. დესპანთა რიცხვი სამი კაცისაგან შესდგებოდა. მათს გარდა 12 ნაფიცი კაციც იყო. ამ დაკავშირების პირობებიც დაიდვა. პირობათ დარჩა ისევ ის ტრაქტატი, რომელიც 1782 წ. იყო მიღებული პავლე იმპერატორისაგან. ხოლო „კალმასობის“ თქმით, ზოგიერთა მუხლი მიუმატეს. რუსეთთან შეერთება დააჩქარა იმ გარემოებამაც, რომ მეფე გიორგის სამეფოს მოვლა-პატრონობა არ შეეძლო.

აქ ჩვენ ამ საგანს გვერდს ავუვლით და დავუბრუნდებით ისევ იმ გარემოებასა და პირობებს, თუ რამდენად იყო მეფე ერეკლეში გაღვიძებული სურვილი ევროპასთან დაახლოვებისა ამ სურვილის განმტკიცებას მასში დიდათ ხელს უწყობდენ პაატა ბატონიშვილი და კათოლიკის მისიონერები, რომელნიც მუდამ მეფესთან იყვნენ. მართალია, მეფე ერეკლე ამავე დროს ხშირად მიმართავდა ხოლმე რუსეთსაც, მაგრამ რუსეთის დახმარების იმედი ნაკლებათ ჰქონდა, ვაი თუ არ შიგვიდოს და გვიპატრონოსო. ეს იყო მიზეზი, რომ მეფე რუსეთის გარეშეც ეძებდა თავის მფარველებს და 1770 წ. მან მიწერ-მოწერა გამართა ინგლისის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, და თვით ვენეციის რესპუბლიკის მთავრობებთან. მეფე ერეკლეს აზრით, ოსმალ-სპარსთა ასალაგმავათ მარტოდ რუსები ვერას გახდებოდა, აქ მთელი ევროპის ძალა არის საჭიროვო. ამასვე არწმუნებდენ კათოლიკის პატრებიც. მართლაც, გამართლდა მეფის უიმედობა; საქართველოს, რუსეთის მფარველობის ქვეშ გამოცხადებულს, 1795 წ. აღამაჰმადხანი დაეცა და სასტიკად ააოხრა, აღამაჰმადხანის გამოლაშქრების მიზეზად საქართველოზე სწორედ ეს დაახლოება იყო რუსეთთანა და ევროპასთანა.

მეფემ იცოდა ოსმალ-სპარსთა ასეთი მრისხანება და იგიც ამიტომ ევედრებოდა როგორც რუსეთს, ისე მთელს ევროპას, რადგანაც ასპინძის ომის შემდეგ, ოსმალებთან ორჯერ კიდევ მოუხდა სასტიკი ომი, მაგრამ ვერც ახალციხე წაართვა და ვერც ახალ ქალაქი: არტაანს, შავშეთს და სხვა სამცხის ადგილებს ეს არ ეტანებოდა, თუმცა აქაური ქართველი კათოლიკენიც ყოველთვის ევედრებოდნენ ერეკლე მეფეს, რომ მას სამცხე-საათაბაგო როგორმე ოსმალთაგან დაებრუნებია და ისევ საქართველოსთვის შეერთებია ამ საქმეებში დიდათ ხელს უწყობდენ ახალციხის ქართველი კათოლიკენი და ნამეტურ მათივე მისიონერები. კარგად სჩანს, რომ მეფე ერეკლემ თვით ევროპასაც კი იმიტომ მიმართა, რომ ეგები რუსთა და მათის დახმარებით მთელი სამცხე-საათაბაგო თუ არა, მის ნახევარი საქართველო მაინც შემოუერთოთ საქართველოს და ამით მაინც გავამაგრდეთო. ამ გარემოებას იმერეთის მეფე სოლომონ პირველიც დიდათ უწყობდა ხელს და ყოველ სამზადისისა და ომის დროს ჯარითა და სურსათით ეხმარებოდა. და რადგანაც მეფე ერეკლე ასეთი აზრისა იყო საქმის გარემოებაზე და ქართლის შინაურ მშვიდობიანობას ნატრობდა, 1780 წ. ევროპაში ელჩად გაგზავნა პატრი დომინიკე ტრიესტელი, ტომით იტალიელი, საქართველოში კარგა ხანს ნამყოფი, ქართული ენის კარგი მცოდნე და დიდი მრჩეველი ერეკლე მეფისა. თვით ამ პატრმა გააბედვინა მეფეს ევროპასთან მიმართვა. ამის საფუძვლად ისიც გახდა, რომ 1779 წ. რომის ტახტმა იმერეთის მეფეს სოლომონს ექიმად გამოუგზავნა ავინიონის უნივერსიტეტის პირველი ექიმი და პროფესორი ჰენიერ დელონგშან.

გულშემატკივარსა და გონიერ პატრს მეფემ ერთი წერილი გაატანა რომის პაპთან, მეორე წერილი რომისსავე უფროსს კარდინალთან, მესამე საფრანგეთის მეფესთან მეოთხე ავსტრიის ხელმწიფესთან და მეხუთე ვენეციის რესპუბლიკასთან. ამ წერილებს გარდა, მეფემ პატრ დომინიკეს ნება მისცა, რომ მთელის ევროპის სახელმწიფო პირებთა წინაშე თვით ელაპარაკნა პირადათ, მეფის თხოვნით, რისთვისაც მ[illegible] თავისი დაწერილი და ხელმოწერილი მო[illegible] მობაც კი მისცა. ამავე პატრს მისცეს გზის საგძალი და მასთან პასპორტი, დაწერილი ქართულად, ლათინურად და თათრულად. პატრი დომინიკე 1780 წ. 20 ივნისს კონსტანტინეპოლს მისულა," აქ ავად გამხდარა და 3 ივლისს გადაცვლილა მგზავრობაში ამ პატრის გადაცვალების ცნობა და მეფისაგან გაგზავნილი წერილები კათოლიკის მისიონერებს კონსტანტინეპოლიდან რომის ტახტისათვის გაუგზავნიათ. პატრ დომინიკეს გადაცვალების ცნობა საქართველოშიაც მალე მოსულა, რაც მეფეს დიდად წყენია. უფრო რიაა, ვაი თუ ოსმალებმა შეიტყვეს რამე და ამიტომ მომიწამლეს იგი და მით მომწყვიტეს მარჯვენა მკლავიო. მეფე დიდათ დაადარდიანა ამ გარემოებამ, მიუხედავათ ამისა, ევროპაზე იმედი მაინც არ გადაუწყვეტია.

ამ დროს მეფის კარზე სცხოვრობდა მეორე პატრი მაერო, ტომით იტალიელი, მეფის გულშემატკივარი და მორჩილი მეფემ ახლა ამას დაავალა მგზავრობა, მხოლოდ ოსმალეთის გზით კი არა, რუსეთით, ან პოლონეთით. პატრმა მეფის თხოვნა შეისმინა და სამგზავროთ მოემზადა. დაუწერეს წერილები რომის პაპთან

ეროვნული ბიბლიოთეკა


ელექტრო „რ ა დ ი უ მ“ თეატრი

**ანონსი**: 19 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდი საუცხოვო სურათი, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა რომისა, პარიზისა, ლონდონისა, პეტროგრადისა და მოსკოვის საზოგადოებანი. დასურათხატებული კინო დრამა 5 ნაწილად პროლოგით. სურათს დასდგამს ემილიო ჰიონსი, ფირმა ტიბერ ფილმისა ტურინში

# სიკვდილის მეუღლე

უმთავრესს როლში გამოდის ცნობილი მსახიობი ქალი, მთელ დედამიწის ზურგზე სილამაზით განთქმული, „ბრილიანტების მეფეთ“ წოდებული, **ლინა კავალიერი.**

მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროში რომსა და პარიზში და სურათის არაჩვეულებრივი სიმშვენიერე მაყურებლებზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამ დიდ სურათის დადგმის ნება აქვს კავკასიასა და მის გარეთ მხოლოდ

აქციონ. ამხანაგობა „ფილმას“ ქ. ბაქო.

**ყურადღება!!!** ეს ისეთი საყურადღებო და ფსიხოლოგიური სურათია, რომ რეჟისორებმა და მსახიობებმა დიდი სახელი მოიხვეჭეს. **ლინა კავალიერი** ეს მეტად მდიდარი ქალია და რომში ბევრ ადგილას აქვს ვილები. მისი სამი მარგალიტის მძივი შეფასებულია ორ მილიონ მანეთად და მეორე გულსაკიდი 250000 მანეთად. მისი ძვირფასი ტანსაცმელები, პაკენა მოდელის ფირმისაა.

ბოლოს გამოვა ლინა კავალიერის აწინდელი მეუღლე ფრანგულ დიდ ოპერის მსახიობი ლუჩიანო მურატორი.


ენერგია, რომ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს შესაფერი სიფხიზლე და საქმის დაკვირვებაც კი ვერ გამოვიჩინეთ.

მაგალითისათვის მოვიყვან უკანასკნელათ საბჭოს კრებებზე გადაწყვეტილ საკითხებს, რომელიც შეეხებოდა შტატის გაფართოებასა და მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატებას. მგონი, ბევრი მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ მოსამსახურე, რამდენადაც უფრო უზრუნველყოფილია ნივთიერათ, იმდენათ ნაყოფიერი იქნება მისი მუშაობა ქალაქის საკეთილდღეოთ. ჩვენ კი კინაღამ ძველ ჯამაგირებზე დავსტოვეთ მოსამსახურენი, რომ ორ-სამ პატივცემულ ხმოსანს არ დაესაბუთებია ეს ჩვენთვის.

ავიღოთ მეორე მაგალითი. გადასაწყვეტი იყო საკითხი დაინიშნოს თუ არა ქალაქის განათების ყურის მგდებელი (კონტროლი)? საკითხი უარყოფით იქნა გადაწყვეტილი, მაშინ როდესაც მოიჯარადრეს შეუძლია ბევრი ბოროტმოქმედება ჩაიდინოს და გარეშე უბნის მცხოვრებნი სიბნელეში დასტოვოს.

ჩვენ თუ მარტო ქალაქის ცენტრს, ე. ი. ბულვარის გარშემო ქუჩებს მივიღებთ მხედველობაში, აქ, რასაკვირველია, ასეთი რამ არ მოხდება, მაგრამ განაპირა უბნები, რომ სულ მუდამ სჩივიან უსანთლობით ქუჩაში ღამე თავპირი გვემტვრევაო— ეს კი მოიჯარადრის ბრალია და ამას შესაფერი კონტროლიც უნდა ჰყავდეს მიუცილებლივ. ხოლო ის მოსაზრება, რომ თვით საზოგადოებამ გასწიოს კონტროლი, ჩემის ღრმა რწმენით, პრაქტიკულათ მოუხერხებელია, რადგანაც მეთვალყურეობას ვერავინ შეასრულებს საზოგადოების მხრით.

ამ საკითხის ამგვარათ გადაწყვეტაში, განგებ, რაიმე განზრახვით, ბრალი არავის მიუძღვის.

მესამე მაგალითი. სასურსათო საკითხის თავის დროზე მოსაწესრიგებლათ ხომ ძალიან გულცივობა გამოვიჩინეთ. იმ დროს, როდესაც ეს საკითხი გადასაწყვეტი იყო, უმრავლესობა კრებას არ ვესწრებოდით და როცა კი შევიკრიბებოდით, მაშინ ზოგიერთი ხმოსნის მეოხებით წესრიგ გარეშე საკითხებზე გვიხდებოდა ლაპარაკი და ეს უსაჰიროესი საკითხი ქალაქის მცხოვრებთათვის შემდეგისთვის იდებოდა განსახილველათ. საქმის ასეთმა მოქცევამ სანოვაგის კრიზისამდი მიგვიყვანა და რომ ორი-სამი დღე კიდევ გაგრძელებულიყო უპურობა ქუთაისში, საქმე არასასურველ შედეგს მიიღებდა.

ვლად. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

## მცირე შენიშვნა.

სახ. სათათბიროს მომავალ სესიას განსახილველად უნდა წარედგინოს გლეხთა უფლებების გათანასწორების საკითხი. ეს ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საკითხი 1861 წლიდან თითქმის მუდამ განსახილველად დევს არქივში... მართალია, განსვენებულ სტოლიპინის მმართველობაში ამ საკითხს მეტი ყურადღება მიექცა, მაგრამ მისი საჭიროდ მოგვარება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან რუსეთში არიან ისეთი პირები, რომელნიც ყოველგვარ რეფორმას ისე გაურბიან, როგორც ცხვარი მგელს... მათ ყოველთვის პირზე აკერიათ რუსეთის კეთილდღეობა, მაგრამ რა გზით შეიძლება ეს კეთილდღეობა ეს არ აინტერესებთ. ყველა ერის კეთილდღეობა და მისი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება დამოკიდებულია ახალ-ახალ მიზან-შეწონილ რეფორმებზე.

აი, ამ მსოფლიო ომშიც რუსეთის „ლიბერალები“ გაიძახიან: „მხოლოდ მტერზე გამარჯვებაა საჭირო, ყველაფერი ომისთვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“-ო. ის ვერ წარმოუდგენიათ, რომ იმ ერს, რომელსაც თავისუფლება დახშული აქვს, რომელი ერის შინაური ცხოვრებაც რეფორმებს თხოულობს, ვერავითარი გამარჯვება ვერ უშველის და კეთილდღეობის გზაზე ვერ დააყენებს.

რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ერების შინაური ცხოვრების აყვავებისა და გაღონიერებისათვის ერთად ერთი საშუალებაა - რეფორმების შემოღება, რასაც ასე ძალიან უფრთხიან იგინი. და როცა ამა თუ იმ სახელმწიფოს შინაური ცხოვრება შევიწროებული არაა დროს გადასულ-ლი კანონებით და ხალხს მინიჭებული აქვს უფლება თავისუფალი მოქმედებისა - მტერზე გამარჯვებაც მაშინ უფრო ადვილათ მოხდება.

დღეს, იმედია, რეფორმების მტრებს რუსეთის დემოკრატია ღირსეულ პასუხს გასცემს და სათათბიროში კვლავ წარადგენს ამ ღირსშესანიშნავ საკითხს განსახილველად.

ირ—დი.

---

ავსტრიისა იმპერატორთან, საფრანგეთის, იტალიის და ესპანიის ხელმწიფეებთან და ორი წერილიც ვენეციის რესპუბლიკის წინაშე. ეს წერილები საქართველოში თვით მაეროს უთარგმნია ფრანგულად, რაზეც მეფესაც ხელი მოუწერია.

წერილებს გარდა, მეფეს პატრი მაეროსთვის პირადათაც ბევრი რამ დაუვალებია ევროპის ხელმწიფეთა წინაშე. ამის მოწმობაც უბოძა და მასთან პასპორტი დაწერილი ქართულად, ლათინურად და თათრულად. 14 ნოემბერს 1782 წ. ეს პატრი თბილისიდან გამგზავრებულა. ამას გაუვლია რუსეთი, მისულა პოლონეთის ქალაქ ბერდოკოვცაში, სადაც ავად გამხდარა და იქვე გადაცვლილა. პატრი მაეროს მიერ წაღებული წერილები რომში პოლონეთის ორ კაპუცინს წაუღია, კარდინალისათვის გადაუციათ და მასთან პატრი მაეროს გადაცვალებაც უცნობებიათ. მასთან აუწყეს თურმე ისიც, რომ პატრი ბევრს ლაპარაკობდა იმაზე, რომ მას მეფე ერეკლესაგან ბევრი დავალება ჰქონდა ევროპის ხელმწიფეებთან პირადათ მოელაპარაკნაო. პატრი მაეროს გადაცვალების ამბავი საქართველოშიაც დროით მოსულა. მეფე დიდათ შეწუხებულა და უტირნია მწარედ. ამ ორ უბედურების შემდეგ მეფეს გული გასტეხია.

რამდენიმე ხნის შემდეგ, თბილისიდან უფროსი პატრი ანდრია პალერმელი, მეფე ერეკლეს თხოვნით, წერილს სწერს უფროსს კარდინალს და სთხოვს, თუ მეფეს წერილებმა თქვენამდის მოაღწია, დაეგზავნათ დანიშნულებისამებრ. ამავე საგნის შესახებ მეორე წერილი გაიგზავნა თბილისიდან 19 ნოემბერს 1783 წ. რომის კარდინალს, მეფის დავალებით, პატრი მაეროს წერილები თავისთვის კუთვნილებისამებრ დაურიგებია. რა ბედი მოჰყვა ამ წერილებს, ან როგორ შეხვდენ მეფე ერეკლეს თხოვნას ევროპის სახელმწიფოები, ჩვენ არაფერი ვიცით.

უკანასკნელ დროს კი, რომის არქივებში ზოგი რამ ცნობა აღმოჩნდა. სხვათა შორის, აღმოჩნდა მხოლოდ ის ორი წერილი, რომლითაც მეფე ერეკლემ ვენეციის რესპუბლიკას მიმართა. ამ წერილების პირი მე მივიღე იტალიიდან 1898 წ. რაც ძველის დედნიდან მოგვყავს აქ უცვლელად. აი, მისი ისტორიაც.

ვენეციაში (იტალია) არის მთავრობის ერთი ძველი არქივი, რომლის ოთახებისა და დარბაზების რიცხვიც ოთხასზე მეტი იქნება. ამ უზარმაზარ შენობას სახელად ჰქვია: „archivio de stato“. დარბაზთა შორის არის ერთი დიპლომატიური დარბაზი, ანუ დარბაზი „მარგარიტა“ ახლანდელ დედოფლის სახელობაზე. ამ დარბაზში, სხვათა შორის, გამოფენილია რამდენიმე წერილი და ცნობა მეფე ერეკლეს შესახებ. ზოგი წერილი ქართულად არის ნაწერი, ზოგი თათრულად და ზოგიც იტალიურად. ეს წერილები სიტყვა სიტყვით გადმოიწერა და გამომიგზავნა ქართველმა მხითარისტმა დიონოსე კალატოზიანმა.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება.)

## ქართველ ებრაელებს!

ეს ორი წელიწადია გულნატკენი ვლაპარაკობ თქვენს წინაშე, ძმებო, მაგრამ თქვენ არ ისმინეთ სიმართლე, არ დაინახეთ ჭეშმარიტება, მიუხედავათ ამისა, თქვენ მე არ გამტყუნებთ, რადგანაც თქვენ იმყოფებით ისეთი პირების გავლენაში, რომელნიც სცხოვრობენ ხალხის უვიცობით, დათარეშობენ და ბატონობენ თვალებ ახვეულ ხალხის სიბნელით, ასეთი პირების წყალობით სიმართლის მთქმელი ადამიანი, ყოველთვის იჩაგრება, როგორც კი იგი ხმას ამოიღებს ჩვენი ხალხის გამოღვიძებაზე, ამ ვაჟბატონებს ხელში უჭირავთ ერთნაირი მათრახი, ეს არის „სარწმუნოება“, და ამის სახელით ამათრახებენ ყველას, ვისაც კი ამ სარწმუნოებისა და ჩვენი ერის ამაღლება გულითა და სულით სურს. ამ „სარწმუნოების“ სახელით ხალხს უქადაგებენ, რომ ყოველივე წინსვლა უდიდესი ცოდვაა და ჯოჯოხეთში წახვალთო. აი, მაგალითად, როცა ამას წინათ ბ. ბ. რაბინებს მივმართე შევყვერთდეთ ერთად და ჩვენი ხალხის სულიერათ და ეკონომიურათ ამაღლება დავისახოთ მიზნათ მეთქი—გიქადაგესთ სჯულის სახელით: ბაბზოვის მიერ წამოყენებული აზრი ეწინააღმდეგება სარწმუნოებასაო. ისარგებლეს ჩვენი ხალხის შეუგნებლობით და დაგვაშორეს მიზანს, რომელიც დიდ ბედნიერებას მოუტანდა ჩვენ ხალხს, როგორც სარწმუნოების მხრით, ისე ეკონომიურათ. დამძალეს, გამაყუჩეს, გავჩერდი. ვიფიქრე, ეგებ თვითონ მაინც იკისრონ მეთაურობა და ქართველ ებრაელთა საკეთილდღეოთ რაიმე ნაბიჯი გადასდგან წინა მეთქი. მაგრამ, სამწუხაროთ, მოვსტყუვდი.

მას შემდეგ აგერ ნახევარმა წელიწადმა განვლო და ისევ იგივე სიჩუმე, ისევ იგივე სიბნელე გარს გვახვევია. ამ მდგომარეობას ვეღარ გაუძლო გულმა და მივმართე ებრაელ მოზარდ ახალთაობას და მოვითხოვე მათგან თავისი მოვალეობის ასრულება. ახალგაზდა ებრაელებთან საუბარი პირველად ონში გაიმართა, სადაც ჩვენი ახალგაზდობა მომზადებული გამოდგა და მოისურვა მთავრობის ნებართვით ჯგუფის დაარსება. აქვე შემუშავებული იყო სამოქმედო პროგრამა. ასეთივე საუბარი გავმართე ქუთათურ ებრაელ ახალგაზდობასთანაც, რომელმაც თავისი მხურვალე თანაგრძნობა და ჯგუფის დაარსების სურვილი განაცხადა.

ამის შემდეგ მოლაპარაკება გავმართე თბილისელ ებრაელთა ახალგაზდობასთან, რომელმაც გულის ტკივილითა და ტირილით შემომჩივლა:

— ოხ, რაბინო! ნეტავი ღმერთმა ჰქნას და რამე გზას დაგვაყენებდეთ, თორემ ვიკარგვით არაფერი ვიცით არც ჩვენი ერისა და არც კაცობრიობისაო. მოგვეცით გზა და მთელის ჩვენის არსებით ვიმუშავებთო.

ქუთაისში დაბრუნებისას მოვკითხე ჩვენს ნაცნობ და შეგნებულ ახალგაზდობას, თუ რა გააკეთა, ან ვინ შეიძინა. ვის გაუზიარა ჩვენი აზრები და სხვა. სასიხარულო პასუხი დამხვედრეს!

— ამაღამ კერძო კრებას ვახდენთ მთავრობის ნებართვით და ბევრი მოსურნე პირი მოისმენს განზრახული ჯგუფის პროგრამასო.

მართლაც, კრება სიხარულით შეხვდა ჩვენს განზრახვას, მაგრამ აქაც იჩინა თავი ძველმა და ბნელმა ძალებმა, ასტეხეს ქუჩური აურ ზაური. სარწმუნოების სახელით წინათ თუ რაბინების შეერთება მიკიჟინეს, ახლა მისაყვედურეს ხელობის სახელით, არ შეიძლება ახალგაზდა ჯგუფის შედგენა, თუნდაც იგი წმინდა სარწმუნოებაზე იყოს დამყარებულიო.

აი, სადამდის მიდის ჩვენი ზოგიერთი ვაჟბატონის გულღრძობა, მაგრამ სრული იმედი მაქვს, რომ ქუთაისის ებრაელების ახალგაზდობა, რომლებმაც მოისმინეს ჩემი აზრი და საკმაოთ შეგნებული არიან, სამართლიანათ გაარკვევენ, რომ ჩემს განზრახვაში სჯულის საწინააღმდეგო იოტის ოდენა არა ურევია-რა. რომ ნათელი იყოს ყველა ებრაელისთვის ის, თუ რა განზრახვა გვაქვს, აქვე მოვიყვანთ პროგრამის უმთავრეს მუხლებს: არსდება ჯგუფი ებრაელ ახალგაზდობისა მთავრობის ნებართვით. ამ ჯგუფში შევა ყველა მსურველი, ვინც წელიწადში საწევრო გადასახადს 3 მან. ან ხუთს და ან თორმეტ მანეთს გადაიხდის; ჯგუფს ექნება ყველა პროვინცია-დაბაში თავისი გამგეობა, რომელიც საწევრო ფულს გაგზავნის საგუბერნიო კომიტეტში. ჯგუფი ვალდებულია დააარსოს ყველა დაბაში თალმუდ—თორა, სადაც უნდა სწარმოებდეს სწავლა სისტემატიურათ და პედაგოგიური პრინციპის მიხედვით. თალმუდ—თორებში ებრაელ ბავშვებმა იმდენათ საკმაო სწავლა უნდა მიიღონ, რომ შეეძლოსთ ცენტრალ იეშიბაში შესვლა, რომელიც დაარსებული იქნება ქუთაისში. ნუ თუ ასეთი სასწავლებლების დაარსება ებრაელთათვის ჩვენი სჯულის საწინააღმდეგო იქნება? სრულიადაც არა ასეთი სასწავლებლები პირიქით გონებრივათ აამაღლებენ ჩვენს ახალთაობას, ეკონომიურათ წინ წასწევენ და თავიდან ააშორებენ იმ სიდუხჭირეს, რომელშიც დღეს იმყოფებიან იგინი სოფლად, თუ ქალაქად. მომავალში რომ უარესს განსაცდელში არ ჩავარდენ ის ახალგაზდანი, რომელნიც სკოლებში შესაფერნიჭს სწავლისას ვერ გამოიჩენენ ჯგუფი ქ. ქუთაისში აარსებს სახელოსნო სასწავლებელს, სადაც შესაფერ ხელობას შეისწავლიან და უნუგეშოთ არ დარჩებიან ცხოვრებაში.

აი, ეს არის ჩვენი მიზანი და თუ ეს სარწმუნოებას ეწინააღმდეგება, თქვენის აზრით, მე მოგიწვევთ, რომ დავსვათ ამაზე საკითხი რუსეთის დიდ. რაბინებთან არა მგონია, რომ მათ ჩვენ უვიცებათ არ ჩაგვთვალონ.

კმარა, ძმებო ერთი მეორის დაჩაგვრა. დროა, შევიგნოთ და შევუდგეთ ქართველ ებრაელების გამოფხიზლებას და მით პირნათლად შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა მომავალი თაობის წინაშე. მოგიწოდებთ თქვენ, ახალგაზდებო, არ დაუშვათ ძირს ის დროშა, რომელიც თქვენ ააფრიალეთ. ამ დროშაზე დამოკიდებულია თქვენი ჩაგრული ერის ბედი და იღბალი

ონის რაბინი დავ. ბააზოვი.

## პატარა ფელეტონი.

### კლერიკალების შეიარაღება.

ორ მაისს ქ. თბილისის სადგურზე სომხის მღვდელ-მთავრის მესროპის სახელზე 105 ფუთი ახალი სისტემის იარაღი მოსულა...

ეს გასაოცარი ცნობა თბილისის ერთ-ერთ გაზეთში ქუთაისის სადგურზე წავიკითხე და როდესაც ჩემს მეგობარს გავუზიარე, მან ღიმილით მკითხა:

— გასაკვირი განა რა არის? იარაღი სომხის კლერიკალებს და მდიდარ კარაპეტებს სჭირიათ დემოკრატიულ პრინციპების დასაცავად, რომელიც აგრე რიგათ შელახეს და განსაცდელში ჩააგდეს ქართველ თავადაზნაურთა „ზუბრებმა და მამალიან ბეგებმაო“.

შენ ხუმრობ, კაცო, და მე კი სულ სხვასა ვფიქრობ, ვუპასუხე მეგობარს...

— რა სხვას ფიქრობ?

— იქნებ იმას ფიქრობ, რომ სომხებმა თავის მომავალ სახელმწიფოს ტერიტორიაში შეიტანეს ლაზისტანი და შავი ზღვის სანაპიროები და თუ ეს მიზანში ამოღებული მიწა-წყალი მათ ვერ შესძინეს მილიუკოვმა, ვოდოვოზოვმა, ვესელოვსკიმ და ინგლისელმა ლორდებმა, მაშინ ისინი იარაღით აპირებენ ამ სხვისი მიწა-წყალის დაუფლებას!..

დიაღ, დიდ ბრძოლის გუნებაზე არიან, მეგობარო, სომხები...

აკი ამიტომაც არ იყო, რომ სოლოლაკში თავის სამხედრო შტაბიც კი დაიარსეს...

ამბობენ, ამ დღეებში თბილისს ანდრონიკე ესტუმრება და ყველა იარაღის ტარების შემძლე სომხებს მოუწოდებს საბრძოლადო.

— მერე ვის ებრძვიან, ოსმალებს თუ ვილჰელმის ლაშქარს?

რა გულუბრყვილოთ მეკითხები. განა არ იცი, რაც ბიჭები ბრძანდებიან ვილჰელმის ლაშქართან ან ოსმალებთან ბრძოლაში სომხები?!.

ეს აქ, „ვრაცებთან“ საბრძოლად სჭირდებათ...

— ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, სთქვა მეგობარმა და დავშორდით ერთმანეთს.

Ser.

## რუსეთი.

პეტროგრადში დაიწყო სომეხთა ლეგალური ყრილობები, სადაც, გამოქვეყნულთა საკითხის გარდა, ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხსაც შეეხებიან.

——

სუხომლინოვის ცოლს ნება დართეს პეტრე-პავლეს ციხეში სადაც მისი ქმარი ზის, მიიტანოს საწერი მაგიდა და სხვადასხვა საჭირო ქაღალდი. როგორც იტყობინებიან, სუხომლინოვი მთავრობასთან წარსადგენ მოხსენებას ამზადებს.

——

გუჩკოვმა სამსახურს თავი გაანება და წითელი ჯვრის რაზმში ჩაეწერა.

——

გაზეთ „რეჩში“ დაბეჭდილ ტენდენციურ წერილს კავკასიის ერობის შესახებ „პეტ. ვედ.“ გამოეხმაურა.

——

როგორც იუწყებიან, ბეჭდვითი საქმის უფროსს სუდეინიკს თანმდებობისთვის თავი დაუნებებია. მისი გადადგომის მიზეზათ ასახელებენ პრემიერ შტიურმერთან უთანხმოებას.

——

ნოვოჩერკასკში განზრახული იყო სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის მეორე საოლქო ყრილობის მოწვევა, მაგრამ როგორც ახლა იუწყებიან, ეს ყრილობა, მთავრობას აუკრძალავს.

——

შავი ზღვის მხარეში განზრახულია შემოიღონ საგუბერნიო ერობის ნაცვლად საერობო საოლქო ორგანიზაცია.

——

პარიზში მძიმე ავად გამხდარა ი. გ. მეჩნიკოვი. ახლა უკეთ არის.

——

ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო თათბირი, რომელმაც უნდა განიხილოს კანონპროექტი ზედა პალატაში მომავალ სესიის სამუშაოდ.

——

ყოფილი სულთანი აბდულ ჰამიდი ავად გამხდარა.

——

რუსეთმა იაპონიას შეუკვეთა 275 ათასი კილოგრამი ქაღალდი.

როგორც გამოირკვა, ხვოსტოვის სამ სახურიდან გადადგომის მიზეზი ყოფილა მთავრობის სამხედრო სამრეწველო კომიტეტების წინააღმდეგ ამხედრება და მისი კონფლიკტი პრემიერ შტიურმერთან.

— —

პრემიერ შტიურმერის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი, რომელზეც განიხილეს სამრეწველო კომიტეტების თათბირი; სამრეწველო კომიტეტების შესახებ მოხსენება წარმოადგინა პოლიციის დეპარტამენტის ახალმა დირექტორმა, რომელმაც განაცხადა, რომ, როგორც საზღვარ-გარეთ, ისე რუსეთში სამრეწველო კომიტეტები, სადაც აუარებელი მუშაიყრის თავს, სოციალდემოკრატებმა თავის ბაზად გაიხადესო რუსეთშიო, სთქვა დეპარტამენტის დირექტორმა, სოციალდემოკრატების მებაირაღტრე პლეხანოვია, რომლის მოწოდებასაც რუსეთის მუშებმა ყურადღება არ მიაქციესო. მაგრამ ციმერვალდის კონგრესმა სხვაგვარი გავლენა იქონია მუშებზე, ახლა ყველა რევოლიუციონურ გუნებაზე დადგა, რაშიაც მათ ხელს უწყობს ერთად შეჯგუფება, მუდმივი მიმოსვლა და სხვა. თათბირს სასურველად არ უცვნია სამრეწველო კომიტეტების გაუქმება, მხოლოდ გადაუწყვეტია იქიდან მუშების წარმომადგენლებისა და და მათი ჯგუფების გამოძევება.

## ერობა ჩვენში.

### 6 მაისი.

ჰ. ა. გოთუა. ადასტურებს ნათქვამს, რომ ქალაქების სამაზრო ერობიდან გამოყოფის სურვილი გამომხატველია ქალაქების მესვეურების ლტოლვილებისა, რომ მაზრას მოუსპოს არსებობისათვის საჭირო თანხა, ორატორი ეკამათება ა. ი. ხატისოვს და დოლუხანოვს და ამტკიცებს, რომ მაზრიდან გამოყოფა თბილისის, რომელიც იზრდებოდა და ვითარდებოდა სოფლების ხარჯზე, როდესაც მაზრაშიდ არ მომცირე ქალაქიც-კი, რომელმაც ოდნავ მაინც გასწიოს თბილისის მაგიერობა, მთელი კუთხის შებორკვა და შეფერხება იქნებაო. ორატორის აზრით თბილისი აქამომდე მეტს სარგებლობდა საერობო თანხიდან, ვინემ იხდიდა. მიხეილის საავადმყოფო, ფელშრების სკოლა და საბებიო სკოლა უმთავრესად თბილისს ემსახურებოდა საერთო საერობო თანხით კი ინახებოდაო. ორატორი მოითხოვს თბილისის სამაზრო ერობაში დატოვებას.

ვექილოვი. ამტკიცებს, რომ როგორც თბილისი, ის სხვა ქალაქებიც დამოკიდებული არიან მაზრის კეთილ-დღეობაზედ და მათი ზრდა და განვითარება მაზრების ვითარებაზედ არის დაკავშირებული.

თაამჯდომარე საკითხს კენჭს უყრის, ქ თბილისის სამაზრო ერთეულში დატოვებას მიემხრო 33 წევრი თბილისის გამოყოფას კი 16.

ამის შემდეგ კრება გადავიდა ქ. ბაქოს გამოყოფის საკითხზედ. უკამათოდ უყარეს კენჭი და გამოყოფას მიემხრო 16, მაზრაში დატოვებას კი 37.

მორიგი საკითხია ნავთის სამრეწველო რაიონის გამოყოფა ცალკე საერობო ერთეულად.

პართნიანი ბაქოს მრეწველთა წარმომადგენელი აღიარებს საჭიროებას სამრეწველო რაიონის ცალკე საერობო ერთეულის შექმნას ორატორის აზრით, ამ რაიონის საერობო თანხის ნაწილის მაზრისთვის მიცემა უსამართლობა იქნება, ვინაიდან თვით ბაქოს მაზრა საერობო ბიუჯეტის მხრივ მდიდარია სხვა მაზრებთან შედარებით. თუ თავისუფალი თანხები დარჩება, უფრო სამართლიანი იქნება, რომ ეს თანხები სხვა მაზრებს მოხმარდეს. სამრეწველო რაიონის ცალკე სამაზრო საერობო ერთეულად მოწყობაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ არა ფინანსიურ მოსაზრებებით, არამედ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი სამრეწველო ინტერესები ჩვენვე დავაკმაყოფილოთ.

გ. ა. ირეცკიო ვრცელ სიტყვაში ამტკიცებს ბაქოს ცალკე საერობო ერთეულად გამოყოფის საჭიროებას და მთელი ბაქოს სამრეწველო რაიონის კიდევ მეორე საერობო ერთეულად შექმნას.

ფატალი ხოის ჩანი—განცვიფრებას გამოსთქვამს, რომ მრეწველობის წარმომადგენლებმაც მიბაძეს ქალაქის მოღვაწეებს და მოითხოვეს სამრეწველო რაიონის გამოყოფა სამაზრო ერობიდან. აქ გვეუბნებიან—ჩვენ ფინანსები არ გვაინტერესებსო—არა სხვა რა გაინტერესებთ? ჰკითხულობს ორატორი. როგორ უნდათ შექმნა სამრეწველო რაიონის, როდესაც ეს რაიონი გამორკვეულიც არ არის, დღეს აქ მუშაობენ, ხვალ იქ და როგორ უნდათ ზოლებათ, შექმნან საერობო ერთეული, ეს იგივე აგრონომიული რაიონიაო დაასკვნის ორატორი.

თ-დი მ. გ. მაჩაბელი.—ქალაქების გამოყოფის საკითხი უსამართლო იყო იმით, რომ ქალაქები, რომელნიც გაიზარდნენ სოფლის ხარჯზედ ეხლა გამოყოფას ცდილობენ. ლაპარაკობენ გამიჯნაზედაც. გამიჯნის შესახებ ხშირად გვესმის და ეს მაშინ, როდესაც ყველა ამ მიჯნების და საზღვრების წაშლას ცდილობდა ერთა, თუ სახელმწიფოთა შორის. ლაპარაკობენ აგრეთვე ს. ვერმიშევი და ინჟ. გულიევი და მოითხოვენ გამოყოფას. მ. ვექილოვი კი წინააღმდეგია.

ი. ი. ზურაბიშვილი—ამტკიცებს, წინადადება სამრეწველო რაიონის გამოყოფის შესახებ მეტად გამოურკვევლად არის დაყენებულიო. ქალაქები რომ ცდილობენ გამოყოფას, ეს გასაგებია—მათ აქვთ თავის თვითმართველობა და ერობაში შესვლა აღარ უნდათ. სამრეწველო რაიონს კი ჯერ არაფერი აქვს და გამოყოფას კი მოითხოვსო,

საკითხს კენჭი უყარეს და დიდის უმრავლესობით ხუთის წინააღმდეგ გადაწყვიტეს რომ სამრეწველო რაიონი ბაქოს სამაზრო ერობის ერთეულში დარჩეს. IV სექციამ მუშაობა დაამთავრა, დასრულებულია მუშაობა II და III სექციაშიაც 7 მაისს ამ სექციების დასკვნას საერთო კრება განიხილავს,

## „მოსე მწერლები“

ნათქვამია: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო“ და ეს ანდაზა ისე არსად არ გამართლებულა, როგორც დ. ხარაგოულში. ამ საზოგადო სიძვირის ხანაში გაგვიაფდენ მოღვაწეები—პოლიციის და სასამართლოს კანცელარიებში, აღმოგვიჩნდა მადანი საზოგადო მოღვაწეებისა ამ მხრივ ხშირედ სასტრიოო შეიქნა ადგილობრივი სასამართლო, სადაც დაწყობილი „სეკრეტრიდან“ თვით სტოროჟამდის მოღვაწეები არიან. ასე გასინჯეთ მგოსნები—პოეტები თხრათ ყოფილა შიდ. ერთი სიტყვით, რაც ბევრი განვაგრძო რამდენი მწერალია ამ დალოცვილ ხარაგოულში და მის ახლო მახლო, იმდენი საზოგადო მოღვაწე გახლავთ აქვე საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო მათი ერთი ნიშნობლივი და ღირსშესანიშნავი მხარე—უთუოდ დიდი მოტრფიალენი ბრძანდებიან ხალხის სწავლა-აღზრდისა და კულტურული დაწესებულებისა და ალბათ ამ მოსაზრებით ჭირივით არ დაესხმებათ მასწავლებლები საზოგადოთ და მასწავლებელი ქალები კერძოთ. ვერ შევპირდებით აქვე განვმარტო მიზეზები, თუ რამ გამოიწვია მათი ასეთი ურთიერთ შორის დამოკიდებულება, მხოლოდ არ შემიძლია არ აღვნიშნო, თუ რამდენათ აღმაშფოთებელია ის დევნა და შეურაცხყოფა, რომელსაც, სხვათა შორის, აქაური მასწავლებელი ქალები მათგან განიცდიან. ნათქვამის დასამტკიცებლათ და ახალ მოდის მოღვაწეთ დასახასიათებლათ სრულიად საკმარისია დავასახელო ორი-სამი მაგალითი მათ მიერ ჩადენილი საკმარო საქმეებისა და დანარჩენს დარწმუნებული ვარ მკითხველი უთქმელათ წარმოიდგენს.

1) სამკითხველოში ძრახობით მოიხსენიეს ერთი მასწავლებელი ქალი და ეს სიტყვით კი არა, თვით სამკითხველოს წიგნშია ჩაწერილი, რაც პრესაშიც იყო აღნიშნული, როგორც ერთი სამარცხვინო მაგალითი, 2) სცენიდან საჯაროთ შეურაცხყვეს საერთოდ სოფლის მასწავლებელი ქალები და, როცა აღშფოთებული დამსწრენი თეატრშივე მისცვივდნენ შეურაცხმყოფელს, მან თავი იმართლა, რომ ეს მას შეცთომით, უნებლიეთ მოუვიდა და ინციდენტი მხოლოდ მათთან ბოდიშის მოხდით დაიბოლავა, 3) უკანასკნელ წარმოდგენაზე თეატრში რამდენიმე მასწავლებელ ქალს უდანაშაულოდ, ანტრაქტის დროს, ვითომდა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი თავის ადგილს არ იხსდენ, შეურაცხყოფა მიაყენეს და, როცა ქალებმა სამართლიანად შენიშნეს: „მხოლოდ სოფლის მწერალს შეუძლია ასეთი უზრდელობის ჩადენაო“, ამ ვაჟბატონებმა თეატრშივე ერთი ჩხუბი და აურ-ზაური ასტეხეს. მასწავლებელ ქალებს პოლიციის შეურაცხყოფა თავს მოახვიეს, წესიერება დარღვეულად გამოაცხადეს და მის აღსადგენათ ურიადნიკს და დარაჯებს მოუხმეს, ურიადნიკი რომ უჭკუო ყოფილიყო, ან მასწავლებელთ დროზე თეატრი არ მიეტოვებიათ, თქვენი მტერია—ინციდენტი სისხლის ღვრით დაბოლავდებოდა. ამ დროს ამ მოღვაწეთა უსტაბაში ს—რო ბ-ძე, რომელმაც აქაური სცენის მოყვარეთა სამართლიანი ბოიკოტი დაიმსახურა, თავის უებრო მოქმედებით თეატრს დაეპატრონა და მასში მწერალ-მამასახლისური წესები გაატარა. რატომ არ ეცადა ის, რომ ამ სამარცხვინო მოქმედებას თეატრში ადგილი არ ჰქონოდა? ამბობენ მხოლოდ, რომ ბ—შვილი ამ დროს თეატრში ბრძანდებოდა და ამ ამბავს სრულიად გულგრილად უცქეროდაო. ბოროტი ენები იმასაც კი ამბობენ, რომ ყოველივე ეს ვითომ თვითონ ბ-შვილის მიერ იყო მოწყობილი, რომ დესტჟა მისგან ათვალწუნებული მასწავლებელი ქალები, რომლებზეც გამწყრალია რატომ მათთან სცენაზე არ გამოდიანო, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ საყურადღებოა, სხვათაშორის, ისიც, რომ ერთმა სოფლის მწერალმა ბ. მ—ძემ, რომელსაც სხვაზე მეტი ბრალი ედება თეატრში უწესოების მოხდენისა, სასამართლოში საჩივარი აღძრა მასწავლებელ ქალების წინააღმდეგ, „მწერალი“ რატომ მიწოდეთო. ამ საჩივრის შესახებ წერილით თავს იმართლებს ბ—შვილი ერთი მასწავლებელი ქალის წინაშე და ლანძღავს და ამტყუნებს მომჩივანს. ბ—შვილის ასეთი მოქმედება, გარდა იმისა რომ ზედმეტად ამტკიცებს მასწავლებელი ქალების უდანაშაულოდ შეურაცხყოფას, მოგვაგონებს ერთი მელიის მოქმედებას, რომელმაც მონადირის ძაღლებს სოროში შესწრო და იქიდან თავისი კუდი გამოუშვირა დასასჭელათ, მაგრამ კუდით ძაღლებმა თვითონ მხეცი გამოათრიეს და მიგლიჯ-მოგლიჯეს. დიახ, ყოველივე ამის შემდეგ განა გასაკვირალია, რომ ჩვენს თეატრს-სამკითხველოს ხალხი ჩამოშორდეს და მოერიდოს და მართალი არ არის ის ჩივილი, რომელიც მოისმის ხალხისაგან: ვისაც თავი კაპიკათ არ უღირს, ველარ გაბედავს თეატრში სიარულსაო. დიახ, მართალია, და თუ გსურსთ, რომ თქვენც დარწმუნდეთ, რომ ხალხი მართალს ამბობს ჩამოშორების გზას, შინჯეთ და ნუ მიმართავთ პოლიციას და მის დასხმარებს ბილეთების გაყიდვის დროს. აქვე საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო ერთი თუ ორი შეუგნებელი თავიანი და გაიძვერა მასწავლებლის და მასწავლებელი ქალის მოქმედება, რომლებიც ხელს უწყობენ ნაძირალთა მოქმედებას და რომლისაგანაც მათი ამხანაგები სამართლიანათ მოითხოვენ-გონს მოვიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ელოდნენ, რომ მათი მოქმედება საჯაროთ გაკიცხული იქნება.

დასასრულ მოვუწოდებ ხარაგოულის საზოგადოების შეგნებულსა და ხალხისათვის გულშემატკივარ ნაწილს—აღაგმოს ამ ახალმოდის მოღვაწეთა თვითნებობა და ბოლო მოუღოს მათ თარეშს კულტურულ დაწესებულებაში მაინც. ბ—შვილს და მის ამალას ვურჩევ ისევ რესტორან-სამიკიტნოებში იმოღვაწონ თეატრი კულტურული ტაძარია და მისი კარები უზრდელთა და მოძალადეთათვის მუდამ დახშული უნდა იყოს. მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩხუბი და ჯამ-ჭურჭლის მტვრევა შეიძლება ზიტოს დუქანში და თეატრი ხომ ზიტოს სამიკიტნო არ არის?!.

თობი.

## პროვინციის ცხოვრება.

დასასრული იხ. „სამშობლო“ № 354.

წიგნსაცავ სამკითხველო ტყემლუანაში გაიხსნა პირველ იანვრიდამ ამა წლის, იგი არის დაარსებული სულმნათი მგოსნის „აკაკის“ სახელზე. სამკითხველოს მოსდის: „სახალხო გაზეთი“ (უწერს ბ. აბელსადუნიშვილი) „სამშობლო“—ბ. გ.-ლი „მეგობარი“—(ფ. ბლუაშვილი) „თანამედროვე აზრი“ (მედ. კაპანაძე) „Закавказская Рѣчь“ (ბ. ემელიანე ფვრაძე მარტის თვიდან) და „ემმაუს მათრახი“ ბ. ს. ჩინჩალაძე) „სასოფლო გაზეთა“ (საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით) „ჯეჯილი“ „ნაკადული“ (წევრთაგან შემოსული ფულით) სამკითხველოს აქვს 50 წიგნი, ამათში უმეტესობა შეწირულია ბ ი კვიცარიძისაგან. კარგი იქნება მისს მაგალითს სხვებიც მიბაძავდნენ და ასეთ ღარიბ და მივარდნილ სოფლის სამკითხველოს აღმოუჩენდენ ან წიგნებით ან ფულით შემწეობას.

სამკითხველოს მზრუნველად ამორჩეულია აქაური მცხოვრები ბ. აბელ სადუნიშვილი, ხაზინადრად ს. ჩინჩალაძე.

სიმშილმა აქაც გამოიჩინა თავისი ძალა. იღლიაში ტომრებ ამოჩრილსა და ზურგზე გუდა მოკიდებულს დაარბენინებს ის ხალხს სოფლიდან სოფლად სიმინდის საყიდლად, მაგრამ სად არის სიმინდი? გაყიდვას ვერავის ათქმევინებ და თუ ვინმე მოწყალება გაიღო და შეელია, კოდს 6—7 მანეთად ათვსებს, რავქნათ, რა გვეშველება, რით გამოვკვებოთ ცოლშვილი? ესეთი კვნესა ხალხისა გულს უწუხებს ადამიანს. სასოწარკვეთილება თანდათან ევლინება ხალხს. რაც ომისგან გამოწვეულმა ჯავრმა ლაკლო, ის ახლა სიმშილობამ შეუთავა იმედი ჰქონდათ შემოტანილი სიმინდისა, მაგრამ არც ეს ხნანს სადმე, სამწუხაროდ. და თუ, ასე გაგრძელდა საქმე და არსადან გაჩნდა სიმინდი, კარგს შედეგს არ უნდა ველოდეთ

გაზაფხულის ამინდი წლევანდელის მოსავლის იმედს ულვიძებდა გულში წარსულის წლით შეშინებულ ხალხს, მხოლოდ ამ კვირაში გვალვამ დაიკავა და ბევრგან ხვნა თესვას აფერხებს.

დიდი ფაქტ ფუცია ახლა ადგილობრივი მოცვის ჩაის მოკრეფისათვის მთელ საზოგადოებაში 5000 ფუთი ჩაი მაინც იქნება თავისს დროზე დამზადებული. სასურველია ვიცოდეთ, თუ რა იქნება წელს მაზანდა მოცვის ჩაისა, რომ ჩაის ფასად არ ჩაიგდონ ხელში ჩარჩებმა.

სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამხელა საზოგადოებაში (900 კომლია) ერთი მოჭირისუფლე არა ჰყავს ხალხს, რომ მისი „წყლული უწნდეს წყლულად“. რომ მაინც პირების თარეშობას ხალხის შესწუხებლად უმკლავდებოდეს და ყოველივე ურიგო მოქმედებას საქციელისთვის პროტესტს აცხადებს. ყველა კერძო ინტერესებით არის გატაცებული, ყველას თავისი „მე“ გაუმეფებია და „სხვისი ჯანსა არვის აწუხებს, სხვისა არ ესმის ტკივილი“.

მღ. დ. ლოსაბერიძე.

## დაჯილდოვება.

უმაღლესად დაჯილდოვებულ იქნენ შემდეგი ქართველი მღვდლები

წმ. ანას მეოთხე ხარისხის ჯვრით: ქუთაისის სობოროს მღვდელი ჰეშვილი, მოწამეთის მონასტრის არქიმანდრიტი დოსითეოსი და მღვდელი აბესაძე, წმ. ანას მეორე ხარისხის ჯვრით: კანდელაკი, ბარნაბაშვილი, მეტრეველი, გურგენიძე, ხახუტაშვილი, ჩაჩიბაია, კვარცხავა, დოლაბერიძე, ბაკურაძე და გულისაშვილი.

ბრძოლის ველზე სიმამაცისათვის: თ-დი ციციშვილი, წმ. ანას მესამე ხარისხის ჯვრით, აბრამიშვილი, ჯავახია, ბერულაშვილი, იოსავა, ქუთელია, დარჩია, კარბელაშვილი, კანდელაკი, თურქაძე, ტყემალაძე, ლეჟავა, მენთეშაშვილი, ჩხარტიშვილი ცომაია, ჰუმბურიძე და ცქიტიშვილი.

## პასუხი ბ. ბუტულაშვილს.

იმ ცნობის მოთავსება, რომელიც გაზ. „მეგობარში“ იყო დაბეჭდილი ჩემი სახელით მე არავისთვის დამივალებია. საქმის გარემოება ასე იყო: ლაპარაკი ჩამოვარდა ჩემს ნაცნობ სტუდენტთან ფულის პოვნის თაობაზე. ამ ლაპარაკის დროს მეც აღვნიშნე ის შემთხვევა, რომ მე თქვენს მაღაზიაში ერთი თუმანი ვიპოვნე და თქვენ გადმოგეცით პატრონისათვის დასაბრუნებლათ, ხოლო თუ პატრონი არ აღმოუჩნდებოდა, თქვენივე სიტყვით, უნდა გადაგეცათ დაჭრილების სასარგებლოთ, რაზეც მეც დაგეთანხმეთ... ეს იყო და ეს. მე არც ვქვი შემპარვია, რომ თქვენ იმ ფულს დანიშნულებისამებრ არ გადასცემდით. ეს კერძო ჩემი ლაპარაკი ჩემის სახელით ვიღაც ავტორს ჩემს ნება დაურთველათ გაზეთში მოუთავსებია, რაშიც მე არავითარი ბრალი არ მიმიძღვის.

ნინო ქავთარაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ,

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქუთაისის ოთხკლასიან ქალთა პროგიმნაზიის მმართველს ქ-ნ ელისაბედ ხოჯევანიშვილის ასულს, რომელიც შევიდა ჩემს მდგომარეობაში და უსასყიდლოთ მიზდის ჩემს შვილს, ხსენებულ სასწავლებელში.

პატივისცემით სონა ებრაელიძისა.

რედაქტორი Ი. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ.
გამომცემელი ამხან. „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“



**ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. 5 წ | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 55 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 45 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 25 | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 31 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 55 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. 5 | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 30 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 10 | „ |
| „ | — დილის | — 6 ს. — | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 13 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. 25 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. 25 | „ |

**ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲮᲠᲔᲡᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲫᲛ. ᲥᲝᲠᲥᲝᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ**

**ა ბ ა ნ ო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

**ᲡᲐᲚᲘ ᲙᲣᲭᲘ**

**ᲥᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ ექ. ვეზისა.**

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ცაზზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარ შველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ცაზზობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის ღებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ცაზზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სათვალარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ცაზზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ᲥᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალავის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ცაზზობისაგან. **ᲥᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ᲥᲔᲚᲐᲒᲐᲠᲡ** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ᲥᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში ა პ. **ᲨᲐᲕᲔᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ქელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)